ლენტეხის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს სოციალურ საკითხთა

კომისიის სხდომა

N 03

09.08.2024 წ.

დ. ლენტეხი

ლენტეხის მუნიციპალიტეტის სკრებულოს

სოციალურ საკითხთა კომისიის

სხდომა N03

დასწრების ფურცელი:

1. ზურაბ ონიანი : კომისიის თავმჯდომარე
2. დავით პირველი: კომისიის წევრი
3. კახა ლიპარტელიანი: კომისიის წევრი
4. ირინა ლიპარტელიანი: კომისიის წევრი
5. გამზა ლიპარტელიანი: კომისიის წევრი
6. მარეხი ონიანი : კომისიის წევრი

ლენტეხის მუნიციპალიტეტის სკრებულოს

სოციალურ საკითხთა კომისიის

თავმჯდომარე : /ზ. ონიანი/

ლენტეხის მუნიციპალიტეტის სკრებულოს

სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომა

ო ქ მ ი N 03

დ. ლენტეხი 9. 08. 2024 წ.

მ/წ 9 აგვისტოს დღის 12 საათზე ჩატარდა ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომა. სხდომას ესწრებოდნენ: კომისიის თავმჯდომარე - ზურაბ ონიანი, კახა ლიპარტელიანი (კომისიის წევრი), დავით პირველი (კომისიის წევრი), მოწვეული სტუმრები: მერიის სოციალური სამსახურის უფროსი ხათუნა ლიპარტელიანი და ლენტეხის ა(ა)ი.პირის საზოგადოებრივი ჯანდაცვის რაიონული ცენტრის დირექტორი გოგი ონიანი, ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილე დემური ლიპარტელიანი, სხდომის მდივანი - ნანი ბენდელიანი.

დღის წესრიგი:

1. ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის 2024 წლის 6 თვის ანგარიში.

/მომხს:ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის ჯან

მრთელობისა და სოციალური სამსახურის უფროსი

ხ.ლიპარტელიანი /

.2.ლენტეხის საზოგადოებრივი ჯანდაცვის რაიონული ცენტრის 2024 წლის 6 თვის ანგარიში.

/მომხს: ლენტეხის საზოგადოებრიი

ჯანდაცვის ცენტრის დირექტორი გ. ონიანი /

მოისმინეს: 1. ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის 2024 წლის 6 თვის ანგარიში, რომელშიც დეტალურად წარმოდგენილი იყო მ/წ განმავლობაში, მერიაში შემოსული 580 სხვადასხვა კატეგორიის განცხადება, რომელთა უმრავლესობა მიეკუთვნება შშმ პირებს.

ხორციელდება, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, სტიქიით დაზარალებულ ოჯახებზე, თანადაფინანსებით, 30,000 (ოცდაათი ათასი) ლარის ფარგლებში, საცხოვრებელი სახლის შეძენა.

მ/წ პირველი მარტიდან , პრემიერის ინიციატივით დაიწყო სოციალურად დაუცველი შრომისუნარიანი მოქალაქეების მასშტაბური პროგრამა. სპეციალურად სამიზნე ჯგუფებისთვის შეიქმნა ისეთი სამუშაოები, რომლის შესრულებაც ნებისმიერ კვალიფიკაციის მქონე პირს შეუძლია. .პროგრამით სარგებლობენ 18 წლიდან საპენსიო ასაკამდე სოციალური შემწეობის მიმღები შრომისუნარიანი პირები.

კომისიის თავმჯდომარემ, წევრებმა და მოწვეულმა, სტუმრებმა იმსჯელეს და მიიღეს გადაწყვეტილება მუნიციპალიტეტის მერიის სოც. სამსახურის 2024 წლის ექვსი თვის ანგარიში შეფასდეს დადებითად და წარმოდგენილი სახით გატანილი იქნას საკრებულოს მორიგ სხდომაზე.

2. .ლენტეხის საზოგადოებრივი ჯანდაცვის რაიონული ცენტრის 2024 წლის 6 თვის ანგარიში წარმოადგინა სამსახურის დირექტორმა ბატონ გ. ონიანმა

წარმოდგენილ ანგარიშში ნათქვამია, რომ ძირითადი სამუშაოები ტარდება წარმოდგენილი გეგმა-გრაფიკის მიხედვით, რომ მ/წ 6 თვეში მიღებულია 19 შეტყობინება დაქვემდებარებულ დაავადებებზე და ყველა მათგანზე ჩატარებულია სრულყოფილი კვლევა.

ბატონ გოგი ონიანმა აღნიშნა, რომ თითქმის ყველა უბანზე ჩატარებული აქვთ მონიტორინგი C ჰეპატიტზე. ამოწმებენ და სწავლობენ წყლების მდგომარეობას და ყოველკვარტლურად აწვდიან მონაცემებს დაავადებათა ეროვნულ ცენტრს.

წამოიჭრა საკითხი, რომ ძალიან მომრავლდნენ რაიონში უპატრონო ძაღლები და ცოფისა და ანტისანიტარიის საშიშროებას ქმნიან. ეს საკითხი უნდა გადაიჭრას ადგილობრივ ვეტ. სამსახურთან ერთად.

მონიტორინგის შედეგად, ხოფურის საჯარო სკოლისა და ბაღის წყლით მომარაგების შეფერხებით მიწოდების თაობაზე , გაცემულია რეკომენდაციები.

კომისიის თავმჯდომარემ, წევრებმა და მოწვეულმა სტუმრებმა იმსჯელეს და მიიღეს გადაწყვეტილება საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის მიერ წარმოდგენილი ანგარიში , კერძოდ, ხოფურის საჯარო სკოლისა და საბავშვო ბაღის საკითხი, გატანილ იქნას საკრებულოს მორიგ სხდომაზე.

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოც. საკითხთა კომისიის სხდომა დამთავრდა დღის 14 საათზე.

ლენტეხის მუნიციპალიტეტის სკრებულოს

სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე: /ზ. ონიანი/